ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ:
1. გიორგი მეტრეველი; 2. ნიკოლოზ ესიტაშვილი; 3. ნინო ბაკურაძე და 4. აკაკი ლიპარტელიანი.
კოორდინატორი და მოწოდებულ მასალაზე პასუხიმგებელი პირი: ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲒᲣᲜᲘᲐ.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – *„ცნობარი მედავითნეებისთვის“* http://venakhi.ge/medavitne.html
ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე:
davati@venakhi.ge ან svetitskhoveli@gmail.com
გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუკზე“ - მამა ბიძინა გუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ – №36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

2013 წელი 12 ნოემბერი ძველი სტილით | სულთმოფენობიდან მე-23 შვიდეული. ორშაბათი | 25 ნოემბერი ახალი სტილით

(26-ე შვიდეულის სახარების საკითხავები).

## ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ:

წმ. იოანე მოწყალისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა (620); ღირ. ნილოს მმარხველისა (V); წინასწარმეტყველისა აქიასი (960 ქრ. წინ).

ლიტ. - 1 თეს. 262 დას. I, 1-5. ლკ. 75 დას. XIV, 12-15 (ორშ.). 1 თეს. 263 დას. I, 6-10. ლკ. 77 დას. XIV, 25-35 (სამშ.). წმ. - ებრ. 311 დას. IV, 14 - V, 6. ლკ. 24 დას. VI, 17-23

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი
დილის მსახურება: შუაღამის ჟამნი – ცისკრის ჟამნი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - - სადღესასწაულოდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - - - პარაკლიტონიდან.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე – 2 პერიოდი.
ᲢᲘᲞᲘᲙᲝᲜᲘ: შვიდეულის სადაგ დღეს „ორი წმიდის“ მსახურება.
შენიშვნა: სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპრები: აღდგომის (ჴმა 5) და დიდმოწამე მინასი.
– კონდაკი: აღდგომის (ჴმა 5).

# მწუხრის ჟამნი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 ფსალმუნი) - იკითხება.
– რიგითი კანონი - არ იკითხება.
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 4 *ჴმა* - ზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" – სა ზედა დასდებელნი – 6 მუხლად.
  - 3 მუხლი წმიდისა (სადღესასწაულოდან) *(ჴმა 4).*
  - 3 მუხლი ღირსისა (საიზარო თვენიდან) *(ჴმა 5).*
  „დიდება" – წმიდისა მღვდელმთავრისა: „სიღრმესა საღმრთოთა ხედვათასა შთაჰხედ ყოვლად ქებულო..." *(სადღესასწაულოდან) (ჴმა 2).*
  „აწ და" – ღვთისმშობლისა - „რვა ჴმათა" (დღისა და I წმიდის „დიდების" ხმის მიხედვით): *„გიხაროდენ მარიამ ღვთისმშობელო, ტაძარო..." (ჴმა 2).*
– შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
– წარდგომა – დღისა.
– „სტიქარონსა" ზედა დასდებლები: პარაკლიტონიდან – 3 მუხლი მის დღისა რომელსაც ჩაერთვის - 2 მუხლი ჟამნიდან:
  - „შენდამი აღვიხილენ თვალნი..."
  - „მიწყალენ ჩვენ უფალო შემიწყალენ..."
  „დიდება" - ღირსისა: „რამე სახელ გდვათ ნეტარო..." *(საზიარო თვენიდან) (ჴმა 8).*
  „აწ და" - ღვთისმშობლისა „რვა ხმათა" (დღისა და II წმიდის „დიდების" ხმის მიხედვით) - *„გაბრიილ მთავარანგელოზისა ხმასა შევსწირვიდეთ და ვსთქვათ..." (ჴმა 8).*
– „აწ განუტევე".
– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":
  ტროპარი - მღვდელმთავრისა - „მოთმინებითა შენითა, მოიგე სასყიდელი შენი ღირსო მამაო, და ლოცვათა შინა..." *(ჴმა 8).*
  „დიდება" - ღირსისა - „ცრემლითა მდინარითა უქმი მოიმუშაკე..." *(ჴმა 8).*
  „აწ და" - ღვთისმშობლის „შვიდეულის დღის განსატევებელი" ანუ *„უმცირესთაგანი"* (დღისა და II წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით):*„გიხაროდენ რომელ მთავარანგელოზისა მიერ..."(ჴმა 8).*

# ცისკრის ჟამნი:

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე – 8 ჴმაზე).
  ტროპარი წმიდისა - „მოთმინებითა შენითა, მოიგე სასყიდელი შენი ღირსო მამაო, და ლოცვათა შინა..." *(ჴმა 8).*
  „დიდება" - ღირსისა - „ცრემლითა მდინარითა უქმი მოიმუშაკე..." *(ჴმა 8).*
  „აწ და" - ღვთისმშობლისა „შვიდეულის დღის განსატევებელი" ანუ „უმცირესთაგანი" (დღისა და II წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით -

„ღმერთი უფალზე") -*„გიხაროდენ რომელ მთავარანგელოზისა მიერ..."(ჰმა 8).*

– რიგითი კანონები: მე - 4, მე - 5 და მე - 6.
– **რიგითი კანონების შემდეგ** - მცირე კვერექსები არ აღესრულება.
– **წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა** - პარაკლიტონიდან თავისი „დიდება" „აწ და"- თი.

**ჩასართავები:**

- შემდგომად I სტიხოლოღიის წარდგომისა: **„უფალო ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე".**
- შემდგომად II სტიხოლოღიის წარდგომისა: **„მიწყალე მე უფალო რამეთუ უძლურ ვარ განმკურნე მე".**
- შემდგომად III სტიხოლოღიის წარდგომისა: **"დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა".**

– 50 - ე ფსალმუნი.

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

იკითხება 3 კანონი. I კანონი პარაკლიტონიდან (ორშაბათის ცისკრის), II კანონი - სადღესასწაულოდან და III კანონი - საზიარო თვენიდან.

**I კანონი** - პარაკლიტონიდან (ძლისპირი 1 გზის) - **6** მუხლად.
**II კანონი** - წმიდისა (სადღესასწაულოდან) - **4** მუხლად. (ძლისპირის გარეშე)
**III კანონი** - ღირსისა (საზიარო თვენიდან) - **4** მუხლად (ძლისპირის გარეშე)

– კატავასია მხოლოდ **III, VI, VIII** და **IX** ოდების (გალობების) შემდგომ **II წმიდის ძლისპირი** (საზიარო თვენიდან).

– „უმცირესი" – „უფალსა უგალობდით."
– **შემდგომად** „განძლიერდასა" (III გალობისა):

- კონდაკი - **ღირსისა** - „კუროსთავნი იგი ვნებათანი, რომელ არს ხორცთა აღდგომა..."*(ჰმა8)*

  ***შენიშვნა:*** *საეკლესიო ტიბიკონის მოთხოვნის შესაბამისად, კონდაკის შემდეგ* ***იკოსიც*** *უნდა იქნას ამოკითხული, რასაც ვერ ვახერხებთ, რადგან საზიარო თვენში იგი მითითებული არ არის.*

- წარდგომა - **მღვდელმთავრისა** : „მოწყალებისა მსგავსებისა მიღებითა გულს მოდგინედ გამოსჩნდი..." *(ჰმა 8) (სადღესასწაულოდან).*

  „დიდება" - წარდგომა - **ღირსისა**: „მოღვაწებისა ზეთითა, სულისა ლამპარნი სულიერად..." *(ჰმა 8) (საზიარო თვენიდან).*

  „აწ და" – **ღვთისმშობლისა** - „რომელი ჰშევ ღმერთი უცვალებელი, მარადის შეცვალებული გული ჩემი ცოდვითა..." *(სადღესასწაულოდან).*

– **შემდგომად** „ღაღადყავსა" (VI გალობისა):

- კონდაკი და იკოსი - მღვდელმთავრისა *(სადღესასწაულოდან).*

– **შემდგომად** „აკურთხევდითსა" (VIII გალობისა) - „უპატიოსნესსა."
– **შემდგომად** „ადიდებდითსა" (IX გალობისა) - „ღირს არსი" - იგალობება.
– „განმანათლებელი" - **მღვდელმთავრისა** - „მოწყალებითა ღმრთისა მობაძავ იქმენ მოყვარე შეწყნარებისა..." *(სადღესასწაულოდან).*

  „დიდება" - **ღირსისა** - „იწროი გზაი მოღვაწებისა..."*(ჰმა 5) (საზიარო თვენიდან).*

  „აწ და" - **ღვთისმშობლისა** – „რომელი ღმრთისაგან..." *(სადღესასწაულოდან).*

– „აქებდით უფალსა ცათაგან" – იკითხება (დასდებლების გარეშე).

„დიდება" „აწ და" - „შენდა დიდება შვენის ქრისტე ღმერთო ჩვენო..."

– „დიდება მაღალიანი" - იკითხება.

– „აღვივსენითსა" ზედა დასდებლები - 3 მუხლი *პარაკლიტონიდან* - რომელთაც ჩაერთვის 2 მუხლი ჟამნიდან:

- „აღვივსენით ჩვენ ცისკარსა წყალობითა შენითა, უფალო..."
- „და იყავნ ნათელი უფლისა ღმრთისა ჩვენისა ჩვენ ზედა..."

„დიდება" - „ღირსო მამაო ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა..." *(ჴმა 6).*

„აწ და" - ღვთისმშობლისა **„რვა ხმათა"** (დღისა და წმიდის „დიდების" ხმის მიხედვით) - *„მთავარანგელოზებრივი სიტყვა შეიწყნარე..." (ჴმა 6).*

– „კეთილ არს აღსარებად უფლისა" – 1 გზის.

**ტროპარი წმიდისა** - „მოთმინებითა შენითა, მოიგე სასყიდელი შენი ღირსო მამაო, და ლოცვათა შინა სამარადისოდ..." *(ჴმა 8).*

„დიდება" - **ღირსისა** - „ცრემლითა მდინარითა უქმი მოიმუშაკე..." *(ჴმა 8).*

„აწ და" - ღვთისმშობლისა **„შვიდეული დღის განსატევებელი"**ანუ „უმცირესთაგანი" (დღისა და II წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით - „კეთილ არსზე") - *„გიხაროდენ ბჭეო მეუფისა დიდებისაო..." (ჴმა 8).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპრები - მღვდელმთავრისა და ღირსისა

– კონდაკები - მღვდელმთავრისა და ღირსისა (მონაცვლეობით)

## წმ. იოანე ოქროპირის
## საღმრთო ლიტურგია

– გამომსახველობითი ანტიფონები„

– III აღსავალზე („ნეტარებების" გალობის დროს) ჩაერთვის „მომიხსენენი." - 8 მუხლად

- პარაკლიტონიდან მის დღისა – 4 მუხლი.
- მღვდელმთავრისა III გალობიდან – 4 მუხლი, თავისი „დიდება" „აწ და" -თი

„შესვლად"

ა) თუ ტაძარი მაცხოვრის სახელობისაა

ტროპრები: - ტაძრის.
- შვიდეულის დღის.
- I რიგის წმიდის.
- II რიგის წმიდის

კონდაკები: - შვიდეულის დღის.
- I რიგის წმიდის.

- II რიგის წმიდის
„დიდება” - „წმიდათა თანა განუსვენე..“
„აწ და” - ტაძრის.

ბ) თუ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა
ტროპრები: - ტაძრის.
- შვიდეულის დღის.
- I რიგის წმიდის
- II რიგის წმიდის.
კონდაკები: - შვიდეულის დღის.
- I რიგის წმიდის
- II რიგის წმიდის.
„დიდება” - „წმიდათა თანა განუსვენე..“
„აწ და” - ტაძრის.

გ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა
ტროპრები: - შვიდეულის დღის.
- ტაძრის წმიდის
- I რიგის წმიდის.
- II რიგის წმიდის.
კონდაკები: - ტაძრის წმიდის.
- I რიგის წმიდის
- II რიგის წმიდის.
„დიდება” - „წმიდათა თანა განუსვენე..”
„აწდა” - „სასოო და შესავედრებელო...”

**წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე დღისა და წმიდის.**
წარდგომა *(ჴმა 8)* - „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა” *(დღის).*
მუხლი - „აკურთხევს სული ჩემი უფალსა, უფალო ღმერთო ჩემო, განსდიდენ ფრიად”.
წარდგომა *(ჴმა 7)* - „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა” *(წმიდის).*
ალილუია *(ჴმა 5)* - „აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი” *(დღის).*
მუხლი - „რამეთუ მან თქვა და იქმნეს, თავადმან ბრძანა და დაებადნეს“.
ალილუია *(ჴმა 2)* - „პირმან მართლისამან იწვართოს სიბრძნე” *(წმიდისა).*
მუხლი - „სჯული ღმრთისა მისისა არს გულსა შინა მისსა, და არა შეუბრკმენ სლვანი მისნი...”
განიცადე - „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა” *(დღის).*
განიცადე - „სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი, ამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის” *(წმიდისა).*

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

2013 წელი 13 ნოემბერი სულთმოფენობიდან მე-23 შვიდეული. 26 ნოემბერი

ხსენება:

წმ. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა (407); მოწ. ანტონინესი, ნიკიფორესი და გერმანესი (დაახლ. 308); მოწ. მანეფასი (დაახლ. 307-308).

შობის მარხვის აღება.

ცისკ. - ინ. 35 დას. X, 1-9. ლიტ. - წმ. - ებრ. 318 დას. VII, 26 - VIII, 2. ინ. 36 დას. X, 9-16.

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – დიდი მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი
ღამისთევის მსახურება: შუაღამის ჟამნი – დიდი ცისკრის ჟამნი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - - სადღესასწაულოდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - - - არ აღესრულება.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

<u>დროითი ინტერვალი</u>: საპასექო წლის მე – 2 პერიოდი.
<u>ტიპიკონი</u>: შვიდეულის სადაგ დღეს „სადიდებლიანი" (IV რანგის) მსახურება.
<u>შენიშვნა:</u> სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპრები: წმ. იოანე მოწყალისა და ღირ. ნილოსისა
– კონდაკები: წმ. იოანე მოწყალისა და ღირ. ნილოსისა (მონაცვლეობით).

# დიდი მწუხრი

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 ფსალმუნი) – იკითხება.
– „ნეტარ არს კაცი" *(I აღსავალი).*
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 4 ჴმა – ზე).
- **წმიდისა – 8 მუხლად** - (I და II მუხლი - 3 გზის, III მუხლი - 2 გზის).
„დიდება" - „სამგზის სანატრელო წმიდაო, მამაო მწყემსო..." *(ჴმა 6).*
„აწ და" - ღვთისმშობლისა „დოგმატიკონი" („დიდების" ხმის მიხედვით) - „ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლად..." *(ჴმა 6).*
– შესვლა საცეცხლურით.
– წარდგომა - დღისა.
– საწინასწარმეტყველო - 3 (იხ. სადღესასწაულო).

– „ლიტიასა ზედა დასდებელნი" - ტაძრის - 1 მუხლი და წმიდის მუხლები *(სადღესასწაულოდან).*

„დიდება" - **წმიდისა** - „გშვენოდა სამეუფოსა ქალაქსა..." *(ჴმა 4).*

„აწ და" - **ღვთისმშობლისა მისივე** - *„შენ ზღუდედ მოგიგებთ..." (ჴმა 4).*

– „სტიქარონსა" **ზედა დასდებელნი** - წმიდისა - 3 მუხლი თავის ჩასართავებით *(სადღესასწაულოდან) (ჴმა 5).*

„დიდება" - „საყვირად ოქრო ხმოვანად გამოსჩნდი ოქროპირო..." *(ჴმა 6).*

„აწ და" – ღვთისმშობლისა **„აღდგომისა"** („დიდების" ხმის მიხედვით იგივე „სტიქარონი"): *„შემოქმედი და მხსნელი ჩემი ქრისტე უფალი..." (ჴმა 6).*

– „აწ განუტევე".

– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":

**ტროპარი** - მღვდელმთავრისა - „პირისა შენისა მადლი..." *(ჴმა 8).*

„დიდება" „აწ და" - **ღვთისმშობლისა „აღდგომის განსატევებელი"** (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით)*: „რომელი ჩვენთვის იშვ..."*

# დიდი ცისკარი

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 8 ჴმაზე).

**ტროპარი** - წმიდისა - „პირისა შენისა მადლი ვითარცა ოქრო გამობრწყინდა..." - 2 გზის *(ჴმა 8).*

„დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა **„აღდგომის განსატევებელი"** (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„რომელი ჩვენთვის იშევ ქრისტე ქალწულისაგან, ჯვარცმა..." (ჴმა 8).*

– რიგითი კანონები: მე - 7 და მე - 8.

– **რიგითი კანონების შემდეგ** - მცირე კვერექსი აღესრულება.

– წარდგომა შემდგომად სტიხოლოღიებისა - სადღესასწაულოდან თავის „დიდება" „აწ და" - თი.

– იგალობება „სადიდებელი" (მე- 19 კანონის - 134-ე და 135-ე ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლები).

– შემდგომად სადიდებელისა წარდგომა - „საუნჯედ სულიერად გამოსჩნდა საღმრთო..." – 2 გზის *(ჴმა 8).*

„დიდება" „აწ და" – **ღვთისმშობელისა** მისივე - *„ზეცისა ბჭესა, და კიდობანსა სიწმიდისასა, მთასა ღმრთისასა..."*

– აღსავალი I, ჴმაჲ 4 კვირის ცისკრისა: „სიყრმით ჩემითგან...."

– წარდგომა (საცისკრო სახარებისა): „პირი ჩემი იტყოდის სიბრძნესა და ზრახვანი გულისა ჩემისანი გულისხმისყოფასა" *(ჴმა 1).*

**მუხლი** : - „ისმინეთ ესე ყოველთა წარმართთა და ყურად იღეთ ყოველთა, რომელნი დამკვიდრებულ ხართ სოფელსა."

– საცისკრო სახარება - ინ. 35 დას. X, 1 - 9.

– 50 - ე ფსალმუნი.

„დიდება" - „მეოხებითა წმიდისა ოქროპირისათა..."

„აწ და" - „მეოხებითა ღვთისმშობლისათა, მოწყალეო..."

- „მიწყალე მე ღმერთო..." („მცირე მიწყალე").

– შემდგომად 50 - ე ფსალმუნისა, გერი - „განეფინა მადლი ბაგეთა შენთა ღირსო მამაო..." *(ჴმა 6).*

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

იკითხება 2 კანონი. I კანონი - ღვთიმშობლისა და II კანონი - წმიდისა.

I კანონი ღმრთისმშობლისა - 6 მუხლი (ძლისპირი - 2 გზის) (სადღესასწაულოდან).

II კანონი წმიდისა - 8 მუხლი *(ჯმა 8).*

– კატავასია - „აღაღე პირი ჩემი".

– „უმცირესი" - „უგალობდით უფალსა".

– შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):

- წარდგომა წმიდისა - „გამოუთქმელითა სიბრძნითა..." *(ჯმა 8).*

„დიდება" - „სიბრძნე ზეცისა განიცადე..."

„აწ და" - ღვთისმშობლისა მისივე - *„ალსა გეენისასა მგზებარესა..."*

– შემდგომად „ღაღადყავსა" (VI გალობისა):

- კონდაკი და იკოსი - წმიდისა *(ჯმა 6).*

– შემდგომად „აკურთხევდითსა" (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსა."

– შემდგომად „ადიდებდითსა" (IX გალობისა): - „ღირს არსი" - არ იგალობება.

– „განმანათლებელი": წმიდისა - „ოქრო ბრწყინვალითა მეტყველებითა შენითა..."

„დიდება" - „ხმამაღალსა მას ნესტვასა, სინანულისა ქადაგსა..."

„აწ და" - ღვთისმშობლისა მისივე - *„ქალწულო ყოვლად უბიწოო..."*

– „ყოველი სული" - იგალობება.

– აქებდითსა ზედა დასდებლები - 4 მუხლად *(ჯმა 4).*

„დიდება" - „ოქროისა ხმითა და მოძღვრებითა..." *(ჯმა 8).*

„აწ და" - ღვთისმშობლისა მისივე - *„დედოფალო შეიწირე ვედრება.."*

– „დიდება მაღალიანი" - იგალობება.

ტროპარი - წმიდისა - „პირისა შენისა მადლი..." - 1 გზის *(ჯმა 8).*

„დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა „აღდგომის განსატევებელი" (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„რომელი ჩვენთვის იშევ..." (ჯმა 8).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპარი და კონდაკი - წმ. იოანე ოქროპირისა

## წმ. იოანე ოქროპირის
## საღმრთო ლიტურგია

– „გამომსახველობითი ანტიფონები”.
– III აღსავალზე („ნეტარებების” გალობის დროს) ჩაერთვის „მომიხსენენი” - 8 მუხლად:
წმიდის პირველი კანონის III გალობიდან - 4 მუხლი;
წმიდის მეორე კანონის VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება” „აწ და” - თი

„შესვლად”:
ა) თუ ტაძარი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახელობისაა
ტროპრები: - ტაძრის.
- წმიდისა.
კონდაკები: - „დიდება” - წმიდისა.
„აწდა” - ტაძრის.

ბ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა
ტროპრები: - წმიდისა.
კონდაკები: - „დიდება” - წმიდისა.
„აწდა” - „სასოო და შესავედრებელო...”

*წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე მხოლოდ წმიდის.*
წარდგომა *(ჴმა 1)* - „პირი ჩემი იტყოდის სიბრძნესა და ზრახვანი გულისა ჩემისანი გულის ხმის - ყოფასა” *(წმიდის).*
მუხლი - „ისმინეთ ესე ყოველთა წარმართთა და ყურად იღეთ ყოველთა, რომელნი დამკვიდრებულ ხართ სოფელსა.”
ალილუია *(ჴმა 2)* - „პირმან მართლისამან იწვართოს სიბრძნე” *(წმიდის).*
განიცადე - „სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი ამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის” *(წმიდის).*
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

## ხსენება:

წმიდისა მოციქულისა ფილიპესი (I); კეთილმორწმუნისა მეფისა იუსტინიანესი (565) და დედოფლისა თეოდორასი (548); წმ. გრიგოლ პალამასი, თესალონიკელი მთავარ-ეპისკოპოსისა (დაახლ. 1360).

ცისკ. - ინ. 67 დას. XXI, 15-25. ლიტ. - 1 თეს. 264 დას. II, 1-8. ლკ 78 დას. XV, 1-10. მოც. - 1 კორ. 131 დას. IV, 9-16. ინ. 5 დას. I, 43-51.

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – დიდი მწუხრი – სერობის ჟამნი
ღამისთევის მსახურება: შუაღამის ჟამნი – დიდი ცისკარი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - - სადღესასწაულოდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - - -არ აღესრულება.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

<u>დროითი ინტერვალი</u>: საპასექო წლის მე - 2 პერიოდი.
<u>ტიპიკონი</u>: შვიდეულის სადაგ დღეს „სადიდებლიანი" (IV რანგის) მსახურება.
<u>შენიშვნა:</u> სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპარი: წმ. იოანე ოქროპირისა.
– კონდაკი: წმ. იოანე ოქროპირისა.

# დიდი მწუხრი

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 - ე ფსალმუნი) - იკითხება.
– „ნეტარ არს კაცი" *(I აღსავალი).*
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 4 ჴმა - ზე)
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებლები:
– მოციქულისა - **6 მუხლად** - (I მუხლი - 2 გზის)
„დიდება" - „დიდისა მის ნათლისა ელვარებითა განათლდი....." *(ჴმა 6).*
„აწ და" - ღვთისმშობლისა **„დოგმატიკონი"** („დიდების" ხმის მიხედვით) - „ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო..." *(ჴმა 6)*
– შესვლა საცეცხლურით.
– წარდგომა - დღისა.
– საწინასწარმეტყველო - 3 *(იხ. საზიარო თვენი განგება მოციქულისა).*

– „სტიქარონსა" ზედა დასდებელი - სადღესასწაულოდან, მოციქულისა
- 3 მუხლი თავის ჩასართავებით.

„დიდება" - *„ტაკუკად სულნელთა ბაგენი შენნი იქმნეს....." (ჴმა 2).*

„აწ და" - ღვთისმშობლისა „აღდგომისა" („დიდების" ხმის მიხედვით იგივე „სტიქარონი"): *„ჰოი სასწაული ახალი..." (ჴმა 2).*

– „აწ განუტევე".

– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":

**ტროპარი** - მოციქულისა - „მოციქულო წმიდაო ფილიპე..." - 1 გზის *(ჴმა 3).*

„დიდება" „აწ და" - **ღვთისმშობლისა „აღდგომის განსატევებელი"** (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„შენ შუამდგომელსა..." (ჴმა 3).*

# დიდი ცისკარი

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 4 ჴმაზე).

**ტროპარი** - მოციქულისა - „მოციქულო წმიდაო ფილიპე..." – 2 **გზის** *(ჴმა 4).*

„დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა **„აღდგომის განსატევებელი"** (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„შენ შუამდგომელსა..." (ჴმა 3).*

– რიგითი კანონები: მე - 11 და მე - 12

– **რიგითი კანონების შემდეგ** - მცირე კვერექსი აღესრულება.

– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა - სადღესასწაულოდან თავის „დიდება" „აწ და" - თი.

– იგალობება „სადიდებელი" (მე- 19 კანონის - 134-ე და 135-ე ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლები).

– „გადიდებსა" გამოკრებილი მუხლები დავითნიდან.

– წარდგომა შემდგომად სადიდებელისა - „საღმრთოთა სიტყვათა ელვარებითა დასწვი საცთური..." – 1 გზის *(ჴმა 8) (საზიარო თვენიდან)*

„დიდება" „აწ და" - „ცად ღირსმეტყუელად გამოსჩნდი..." *(საზიარო თვენიდან)* –

– აღსავალი I, ჴმაჲ 4 კვირის ცისკრისა: „სიყრმით ჩემითგან...."

– წარდგომა (საცისკრო სახარებისა) : – „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი" *(ჴმა 1).*

**მუხლი:** – „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა ხელთა მის-თასა მიუთხრობს სამყარო."

– ფსალმუნი 50 - ე

„დიდება" - „მეოხებითა მოციქულისა ფილიპესითა..."

„აწ და" - „მეოხებითა ღვთისმშობელისათა..."

- მცირე მიწყალე.

– დასდებელი - წმიდისა შემდგომად 50 - ე ფსალმუნისა - *„შენ უფალო ძალთაო..." (ჴმა 8)* (საზიარო თვენიდან).

## <u>საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)</u>

იკითხება 2 კანონი. I კანონი - ღვთიმშობლისა და II კანონი - მოციქულისა.

I კანონი ღმრთისმშობლისა - 6 მუხლი (იხ. პარაკლიტონი „ქვეყანასა მწყურნებსა...“ ან „ეტლთა მფლობელი ფარაო...“ გვ. 673).
II კანონი - მოციქულისა - 8 მუხლი (სადღესასწაულოდან ძლისპირის გარეშე).
– კატავასია - „აღაღე პირი ჩემი...“
– „უმცირესი“ - „უგალობდით უფალსა“.
– შემდგომად „განძლიერდასა“ (III გალობისა):
- წარდგომა (სადღესასწაულოდან) - „გამოუჩნდი ღრუბლად სავსედ...“ (ჴმა 8).
„დიდება“ - „კერპთა მძვინვარება დაამხვე...“
„აწ და“ - ღვთისმშობლისა მისივე - „მრავალ თხზულსა განსაცდელსა...“
– შემდგომად „ღაღადყავსა“ (VI გალობისა):
კონდაკი და იკოსი – წმიდისა მოციქულისა ფილიპესი (ჴმა 2).
– შემდგომად „აკურთხევდითსა“ (VIII გალობისა) - „უპატიოსნესსა.“
– შემდგომად „ადიდებდითსა“ (IX გალობისა) - „ღირს არსი“ - არ იგალობება.
– „განმანათლებელი“: „სრბა შვენიერთა ფერხთა შენთა... “ - 2 გზის.
„დიდება“ „აწ და“ - ღვთისმშობლისა მისივე - „საშინელსა ჟამსა...“
– „ყოველი სული“ - იგალობება.
– აქებდითსა ზედა დასდებელნი - 4 მუხლად (ჴმა 4).
„დიდება“ - „თევზთა ნადირობა კაცთა ნადირობად შესცვალე...“ (ჴმა 3).
„აწ და“ – ღვთისმშობლისა მისივე - *„ღვთისმშობელო შენ მიერ...“*
– „დიდება მაღალიანი“ - იგალობება.
ტროპარი - მოციქულისა - „მოციქულო წმიდაო ფილიპე...“ - 1 გზის (ჴმა 4).
„დიდება“ „აწ და“ – ღვთისმშობლისა „აღდგომის განსატევებელი“ (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„შენ შუამდგომელსა...“ (ჴმა 3).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპარი და კონდაკი - წმიდისა მოციქულისა ფილიპესი.

# წმ. იოანე ოქროპირის საღმრთო ლიტურგია

– „გამომსახველობითი ანტიფონები“
– III აღსავალზე („ნეტარებების“ გალობას) ჩაერთვის „მომიხსენენი“ – 8 მუხლად:
წმიდის III გალობიდან - 4 მუხლი.
წმიდის VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება“ „აწ და“ – თი

„შესვლად“:

ც) თუ ტაძარი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახელობისაა
ტროპრები: - ტაძრის.
- მოციქულისა.
კონდაკები: - „დიდება“ – მოციქულისა.

„აწდა” – ტაძრის.

დ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა
ტროპრები: - მოციქულისა. .
- ტაძრის წმიდის.
კონდაკები: - „დიდება” - მოციქულისა.
„აწდა“ - „სასოო და შესავედრებელო...”

*წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე დღისა და წმიდის., ხოლო ალილუია - მხოლოდ წმიდის.*

წარდგომა *(ჴმა 7)* – „აღამაღლებდით უფალსა ღმერთსა ჩვენსა და თაყვანის – ჰსცემდით კვარცხლბეკსა ფერხთა მისთასა რამეთუ წმიდა არს“ *(დღისა).*
მუხლი - „უფალი სუფევს განრისხნედ ერნი, რომელი ზეს ზედა ქერაბინთა, შეიძარნ ქვეყანა...”
წარდგომა *(ჴმა 8)* – „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი“ *(წმიდის).*
ალილუია *(ჴმა 1)* - „აღგიარებენ ცანი საკვირველებათა შენთა უფალო და ჭეშმარიტებასა შენსა ეკლესიასა შინა წმიდათასა” *(წმიდის).*
მუხლი- „ღმერთი დიდებულ არს ზრახვასა შინა წმიდათასა, დიდ არს და საშინელ ყოველთა ზედა რომელნი არიან გარემოის მისსა“.
განიცადე - „ცხოვრება ჰქმნა შორის ქვეყანისა ღმერთმან” *(დღისა).*

განიცადე - „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი”*(წმიდის).*

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

2013 წელი 15 ნოემბერი სულთმოფენობიდან 23-ე შვიდეული 28 ნოემბერი

ძველი სტილით ხუთშაბათი ახალი სტილით

## ხსენება:

მოწ. გურისა, სამონისა (299-306) და აბიბოსი - აღმსარებელთა (322); მოწ. ელპიდესი, მარკელისა და ევსტოქისა (361-363); მოწ. დიმიტრისა (დაახლ. 307); ღირ. პაისი ველიჩკოველისა (1794).

შობის მარხვის დასაწყისი.

ლიტ. - 1 თეს. 265 დას. II, 9-14. ლკ. 80 დას. XVI, 1-9. მოწ. - ეფ. 233 დას. VI, 10-17. ლკ. 64 დას. XII, 8-12.

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - საზიარო თვენიდან
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - პარაკლიტონიდან
სადღეღემისო ციკლის - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე-2 პერიოდი.
ტიპიკონი: შვიდეულის სადაგ დღეს „მცირე წმიდის“ (I რანგის) მსახურება.
შენიშვნა: სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპარი: წმ. მოციქულისა ფილიპესი
– კონდაკი: წმ. მოციქულისა ფილიპესი

# მწუხრის ჟამნი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევ სული ჩემი უფალსა" (103 ფსალმუნი) - იკითხება.
– რიგითი კანონი - მე-18.
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 5 ჴმა - ზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებლები - 6 მუხლად.
  - 3 მუხლი პარაკლიტონიდან *(ჴმა 5).*
  - 3 მუხლი წმიდისა (საზიარო თვენიდან).
    „დიდება" - წმიდისა: *„მხედრობაი საღმრთოი და ღმრთივშეკრებული..." (ჴმა 5) (საზიარო თვენიდან).*
    „აწ და" - ღვთისმშობლისა „რვა ხმათა" (დღისა და „დიდების" ხმის მიხედვით): „გნატრით შენ ღვთისმშობელო..." *(ჴმა 5).*
– შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
– წარდგომა - დღისა.
– „სტიქარონსა" ზედა დასდებლები: პარაკლიტონიდან - 3 მუხლი მის დღისა, რომელსაც ჩაერთვის - 2 მუხლი ჟამნიდან:
  - „შენდამი აღვიხილენ თვალნი..."
  - „მიწყალენ ჩვენ უფალო შემიწყალენ..."
  „დიდება" - წმიდისა: *„მოვედით კრებულნო..."(ჴმა 7) (საზიარო თვენიდან).*
  „აწ და" - ღვთისმშობლისა „რვა ხმათა" (დღისა და „დიდების" ხმის მიხედვით): „მხოლოსა შემდგომად შობისა..." (ხმა 7).
– „აწ განუტევე".
– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":
  ტროპარი მოწამეთა: *„მოწამეთა შენთა უფალო..." (ჴმა 4).*
  „დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა „შვიდეულის დღის განსატევებელი" ანუ „უმცირესთაგანი" (დღისა და ტროპრის ხმის მიხედვით): *„სიტყვასა მამისასა ქრისტესა ღმერთსა...." (ჴმა 4).*

# ცისკრის ჟამნი:

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 4 ჴმაზე).

ტროპარი მოწამეთა - *„მოწამეთა შენთა უფალო...” (ჭმა 4)* - 2 გზის.

„დიდება“ „აწ და“ - ღვთისმშობლისა „შვიდეულის დღის განსატევებელი” ანუ „უმცირესთაგანი“ (დღისა და ტროპრის ხმის მიხედვით): *„სიტყვასა მამისასა ქრისტესა ღმერთსა...” (ჭმა 4).*

– რიგითი კანონები: მე-13, მე-14 და მე-15.
– რიგითი კანონების შემდეგ მცირე კვერექსები - არ აღესრულება.
– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა - პარაკლიტონიდან თავისი „დიდება“ „აწ და”- თი.

ჩასართავები:

- შემდგომად I სტიხოლოღიის წარდგომისა: „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი”.
- შემდგომად II სტიხოლოღიის წარდგომისა: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო”.
- შემდგომად III სტიხოლოღიის წარდგომისა: “დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა”.

– 50 - ე ფსალმუნი.

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

იკითხება 2 კანონი პარაკლიტონიდან (პარასკევის ცისკრის) და 1 საზიარო თვენიდან.

I კანონი - პარაკლიტონიდან (ძლისპირი 1 გზის) - 6 მუხლად.
II კანონი - პარაკლიტონიდან - 4 მუხლად.
III კანონი - წმიდისა (საზიარო თვენიდან) - 4 მუხლად (ძლისპირის გარეშე).

– კატავასია მხოლოდ III, VI, VIII და IX ოდების (გალობების) შემდგომ **წმიდის ძლისპირი** (საზიარო თვენიდან).
– „უმცირესი“ – „უფალსა უგალობდით“.
– შემდგომად „განძლიერდასა” (III გალობისა):
  - წარდგომა – წმიდისა (საზიარო თვენიდან),
    „დიდება” „აწ და” – იგივე.
– შემდგომად „ღაღადყავსა” (VI გალობისა):
  - კონდაკი მოწამეთა (ჟამნიდან).

*__შენიშვნა__: საეკლესიო ტიბიკონის მოთხოვნის შესაბამისად, კონდაკის შემდეგ **იკოსიც** უნდა იქნას ამოკითხული, რასაც ვერ ვახერხებთ, რადგან საზიაროთვენში იგი მოთითებული არ არის.*

– შემდგომად „აკურთხევდითსა” (VIII გალობისა) - „უპატიოსნესსა.”
– შემდგომად „ადიდებდითსა” (IX გალობისა) - „ღირს არსი.”
– „განმანათლებელი”: - შვიდეულის დღისა (პარაკლიტონიდან).

„დიდება” - განმანათლებელი მოწამეთა - „ღმრთისმსახურებისა სუეტთა, ქრისტეს მეუფისა მხედართა...” *(ჭმა 5) (საზიარო თვენიდან).*

„აწ და” - ღვთისმშობლისა (შვიდეულის დღისა პარაკლიტონიდან).

– „აქებდით უფალსა ცათაგან” – იკითხება (დასდებლების გარეშე),

„დიდება“ „აწ და“ - „შენდა დიდება შვენის ქრისტე ღმერთო ჩვენო...“

– „დიდება მაღალიანი“ - იკითხება.
– „აღვივსენითსა“ ზედა დასდებლები პარაკლიტონიდან *(ჭმა 5),* რომელთაც ჩაერთვის 2 მუხლები ჟამნიდან:
  - „აღვივსენით ჩვენ ცისკარსა წყალობითა შენითა, უფალო...”

- „და იყავნ ნათელი უფლისა ღმრთისა ჩვენისა ჩვენ ზედა...”

„დიდება“ „აწ და“ - ღვთისმშობლისა *(მის დღისა პარაკლიტონიდან) (ჴმა 5).*

– „კეთილ არს აღსარებად უფლისა“ – 1 გზის.

ტროპარი წმიდისა: „მოწამეთა შენთა უფალო...” *(ჴმა 4),*

